

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს  
ბატონ შალვა პაპუაშვილს  
საქართველოს თარჯიმანთა საერთაშორისო ასოციაციის  
(ს/კ 406248494) პრეზიდენტის  
ლალი კუტალაძის [REDACTED]  
ტელ: [REDACTED]

### საკანონმდებლო წინადადება

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 105-ე მუხლის შესაბამისად მოგმართავთ საკანონმდებლო წინადადებით და წარმოგიდგენთ თარჯიმნების შესახებ საქართველოს კანონის პროექტის განახლებულ ვერსიას. მთარგმნელობით სფეროში არსებული პრობლემები დღემდე მოუგვარებელია, საკითხს აქტუალობა არ დაუკარგავს და ის უცილობრივ საჭიროებს სამართლებრივ მოწესრიგებას. ქვემოთ ჩამოთვლილი საკითხები კვლავ საჭიროებს მოგვარებას:

- 1) საქართველოში მოღვაწე თარჯიმანთა აღრიცხვა და მათი თავმოყრა ერთ სივრცეში (ერთიან ორგანიზაციაში);
- 2) თარჯიმანთა სერტიფიცირება, ლიცენზიის გაცემა და თარჯიმნის სტატუსის მინიჭება;
- 3) ნაფიცი თარჯიმნის ინსტიტუტის დამკვიდრება;
- 4) თარჯიმანთა და თარგმანთა ერთიანი რეესტრის შექმნა (ნოტარიულად დასამოწმებელი საბუთებისთვის);
- 5) ხელმოწერების ელექტრონულ ვერსიაზე გადასვლა;
- 6) თარჯიმნის ხელმოწერისა და ბეჭდისთვის იურიდიული ძალის მინიჭება;
- 7) თარგმანის საფასურის უნაღდო ანგარიშსწორება და სახელფასო საბარათე სისტემაზე გადასვლა (ნოტარიულად დასამოწმებელი საბუთებისთვის).

საქართველოს თარჯიმანთა საერთაშორისო ასოციაცია (სთასა) უკვე დიდი ხანია ახორციელებს თარგმანის საფასურის უნაღდო ანგარიშსწორებას და სახელფასო საბარათე სისტემაზე გადასვლი. სასურველია ეს სისტემა დამკვიდრდეს, რადგან ეს ძალიან მოსახერხებელია როგორც კლიენტისთვის, ასევე თარჯიმნებისთვის. თუმცა საჭიროების შემთხვევაში არც ნაღდი ანგარიშსწორების წესს გამოირიცხავს.

საქართველოს თარჯიმანთა საერთაშორისო ასოციაცია (სთასა) უკვე ორი წელია არის თარჯიმანთა მსოფლიო ფედერაციის (FIT) წევრი. ფედერაციის წევრობა საერთაშორისო ასპარეზზე, მსოფლიო ბაზარზე გასვლის შესაძლებლობას იძლევა. ასევე შესაძლებლობას მისცემს საქართველოში მოღვაწე თარჯიმნებს გაეცნონ ევროპის ქვეყნების გამოცდილებას და მთარგმნელობით სფეროში მსოფლიოში მიმდინარე სიახლეებს.

წარმოდგენილ კანონპროექტს თან ახლავს განმარტებითი ბარათი. ორივე მათგანი დაწერილია და განხილულია თარჯიმნების მიერ. ეს არის ჩვენი მოსაზრებები და შეხედულებები, როგორი გვინდა იყოს მთარგმნელობითი სფერო და როგორ იყოს ჩვენი უფლებები დაცული. ჩვენ ვიცით, რომ კანონპროექტი და რიგი საკითხები საჭიროებს იურიდიულ დამუშავებას და შესათანხმებელია სხვადასხვა ორგანოებთან და მზად ვართ ამისთვის, მზად ვართ თანამშრომლობისთვის.

პატივისცემით

საქართველოს თარჯიმანთა საერთაშორისო ასოციაციის სახელით

ასოციაციის პრეზიდენტი:

ვიცე-პრეზიდენტი:

ასოციაციის საპატიო წევრი:

ასოციაციის საპატიო წევრი:

ლ. ლ. ნიჟა  
ნიჟა ნიჟაშვილი  
მზად 3-11

საქართველოს პარლამენტის აპარატი  
საქმისწარმოების დეპარტამენტი  
შემოს. №: 1-4584/22  
13.04.2022 წ. ფურც. 24

# საქართველოს კანონპროექტი თარჯიმნების შესახებ

## თავი I. ზოგადი დებულებები

### მუხლი 1. თარჯიმანი

1. თარჯიმანი არის სპეციალისტი, რომელიც თარგმნის ზეპირ ან წერილობით ტექსტს ერთი ენიდან მეორე ენაზე. ის ზედმიწევნით სრულყოფილად უნდა ფლობდეს ორივე ენას, რომლიდანაც თარგმნის და რომელზეც თარგმნის, გააჩნდეს მდიდარი სიტყვიერი მარაგი, გამოირჩეოდეს ფართო მსოფლმხედველობით და კარგად იცნობდეს ორივე ენის მატარებლის კულტურას და ადათ-წესებს.

2. თარჯიმანი სრულყოფილად უნდა ფლობდეს სახელმწიფო ენას - ქართულ ენას.

3. თარჯიმანი არის თავისუფალი პროფესიის პირი, რომელიც ემორჩილება კანონს და პროფესიული ეთიკის ნორმებს.

4. თარჯიმანი გაწევრიანებულია ან შეიძლება გაწევრიანდეს საქართველოს თარჯიმანთა საერთაშორისო ასოციაციაში. გაწევრიანება ნებაყოფლობითია.

### მუხლი 2. მთარგმნელობითი საქმიანობა

1. მთარგმნელობითი საქმიანობა მოიცავს სხვადასხვა სახის წერილობითი (იურიდიული, სამედიცინო, ტექნიკური, ეკონომიკური, საბუღალტრო და სხვ.) საბუთების და ლიტერატურის და სხვა ნებისმიერი სახის ოფიციალური და არაოფიციალური დოკუმენტების თარგმნას.

ა) ოფიციალურ დოკუმენტად შეიძლება ჩაითვალოს ნებისმიერი საბუთი, რომელიც ხელმოწერილია და ბეჭედდასმულია ორგანიზაციის ხელმძღვანელის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის მიერ.

ბ) არაოფიციალურ დოკუმენტად შეიძლება ჩაითვალოს სხვა ნებისმიერი სახის საბუთი, რომელიც არ არის ხელმოწერილი და ბეჭედდასმული ორგანიზაციის ხელმძღვანელის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის მიერ. ან მხოლოდ ხელმოწერილია ფიზიკური პირის მიერ, ან საერთოდ არ ახლავს არანაერი ხელმოწერა, ან წარმოადგენს ნებისმიერი შინაარსის და მოცულობის ტექსტს ან ტექსტის ნაწყვეტს.

2. ზეპირი მთარგმნელობითი მომსახურების გაწევას სხვადასხვა დონის სასამართლოებისთვის, სანოტარო ბიუროებისთვის, სამართალდამცავი ორგანიზაციებისთვის, სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციებისთვის და ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის.

### მუხლი 3. მთარგმნელობითი საქმიანობის პრინციპები

1. მთარგმნელობითი საქმიანობის პრინციპებია:

ა) პროფესიული კომპეტენტურობა;

ბ) სანდოობა;

გ) კეთილსინდისიერება და მთარგმნელობითი პროფესიის პატივისცემა;

დ) მთარგმნელობითი საქმიანობის თავისუფლება და დამოუკიდებლობა;

ე) თარჯიმანთა თანასწორობა და მათი დისკრიმინაციის დაუშვებლობა;

ვ) თარჯიმანზე ნებისმიერი სახის ზეწოლის დაუშვებლობა;

ზ) მთარგმნელობით საქმიანობაში ჩაურევლობა;

თ) პროფესიული საიდუმლოების დაცვა;

ი) თარჯიმანის მიერ პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვა.

## თავი II. თარჯიმანის ზოგადი უფლებები და მოვალეობები

### მუხლი 4. თარჯიმანის უფლებები

1. თარჯიმანს უფლება აქვს:

ა) განახორციელოს წერიითი და/ან ზეპირი მთარგმნელობითი მომსახურება ნებისმიერი სახელმწიფო და/ან არასახელმწიფო ორგანიზაციებისთვის, იურიდიული და/ან ფიზიკური პირისთვის;

ბ) უარი განაცხადოს მთარგმნელობით მომსახურებაზე;

წერიითი თარგმანის დროს ტექსტის შინაარსის გაცნობისთანავე:

- ტექსტის შინაარსის მიუღებლობის და/ან დროის უკმარისობის გამო;
- არაზუსტი და დამახინჯებული ისტორიული ფაქტების გამო;
- პოლიტიკურ ან საზოგადო მოღვაწეებზე არასწორი ინფორმაციის გამო.

ზეპირი თარგმანის დროს თარგმანის მსვლელობისას, თუ ეს ლაზავს მის პირად ღირსებას და სახელმწიფო ინტერესებს.

გ) დაადასტუროს თარგმანი თავისი ხელმოწერით (სერტიფიცირებული თარჯიმანი); დაადასტუროს თარგმანი თავისი ხელმოწერით და ბეჭდით (ნაფიცი თარჯიმანი);

დ) პარალელურად ეწეოდეს სხვა საქმიანობას (პედაგოგიურ, სამეცნიეროს და სხვ.);

ე) მიიღოს სრული ინფორმაცია სათარგმნი მასალის შესახებ;

ვ) თარჯიმანი პასუხისმგებელია მხოლოდ ტექსტის შინაარსის სწორად გადმოცემაზე. ის პასუხს არ აგებს ტექსტში მოყვანილი ფაქტების სისწორეზე.

### მუხლი 5. თარჯიმანის მოვალეობები

1. თარჯიმანი ვალდებულია:

ა) სხვა ენის მეშვეობით სრულად და ზუსტად გადმოსცეს ორიგინალი ტექსტის შინაარსი და ფორმა, არ დაარღვიოს მისი სტილისტური და აზრობრივი თავისებურებები. თარგმანი სრულად უნდა შეესაბამებოდეს ორიგინალს შინაარსობრივად, ფუნქციურად და სტილისტურად და ამასთანავე შესრულებული უნდა იყოს მეორე ენის ყველა ენობრივი ნორმების დაცვით.

ბ) მთარგმნელობითი მომსახურება შეასრულოს კეთილსინდისიერად და მიუკერძოებლად;

გ) უნდა შეინარჩუნოს ნეიტრალური პოზიცია სათარგმნი მასალის მიმართ, არ უნდა გამოხატოს თავისი შეფასება მის მიმართ.

დ) ზუსტად და განუხრელად დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები;

ე) შეინახოს საიდუმლოება იმ ფაქტების შესახებ, რომელიც მისთვის მუშაობის პროცესში გახდება ცნობილი და არ გამოიყენოს ისინი არც საკუთარი მიზნებისთვის, არც მესამე პირს გადასცეს;

ვ) დაიცვას საქართველოს თარჯიმანთა საერთაშორისო ასოციაციის (სთასა) გამგეობის მიერ შემუშავებული და საერთო კრების მიერ დამტკიცებული თარჯიმნის ნორმები და სხვა წესები.

2. თარჯიმანს გააჩნია მხოლოდ თარჯიმნის ვალდებულება. ნაფიც თარჯიმანს - თარჯიმნის და დამოწმების.

3. სათარგმნი ტექსტის შინაარსის სწორად გადმოცემაზე მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება მხოლოდ თარჯიმანს.

4. თარჯიმნის პროცესში თარჯიმანს ეკრძალება სათარგმნი მასალის ტექსტში (ზეპირშიც და წერილობითშიც) თვითნებურად რაიმეს დამატება ან რაიმეს გამოტოვება.

### **თავი III. თარჯიმნები და თარგმანთა ერთიანი რეესტრი**

#### **მუხლი 6. თარგმანთა ერთიანი რეესტრი**

1. თარგმანთა ერთიანი რეესტრი იქმნება ერთიანი სანოტარო რეესტრის მსგავსად და მასში საბუთების გადაგზავნა ხდება ელექტრონულად დასკანერებული სახით, პედეფის ფაილით. მიეთითება სათარგმნი მასალის ენა (რომელი ენიდან რომელ ენაზე), სახელწოდება (ქართული დოკუმენტის შემთხვევაში), სახეობა (იურიდიული, სამედიცინო და ა.შ.), გამგზავნის ვინაობა და თარიღი.

ა) გაგზავნილ დოკუმენტს კომპიუტერი ანიჭებს ნომერს და ამ ნომრის საშუალებით ხდება შემდგომში მისი თარგმანის მოძიება.

ბ) ანგარიშსწორება ხდება წინასწარ მხოლოდ უნაღდო ანგარიშსწორების სახით. თანხა ირიცხება ასოციაციის ანგარიშზე.

2. თარგმანთა ერთიან რეესტრში იგზავნება ყველა ის სათარგმნი დოკუმენტი, რომელიც საჭიროებს ნოტარიულ დამოწმებას. გადაგზავნილი საბუთების თარგმნა ხდება ნაფიცი ან სერტიფიცირებული თარჯიმნების მიერ.

3. დოკუმენტები, რომლებიც არ საჭიროებენ ნოტარიულ დამოწმებას, არ იგზავნება თარგმანთა ერთიან რეესტრში. მათი თარგმნა ხდება ასოციაციაში, ასოციაციის ფილიალებში ან მთარგმნელობით ცენტრებში. საბუთების მოწოდება შესაძლებელია პირადად ან ელექტრონული სახით. ანგარიშსწორება შეიძლება მოხდეს როგორც ნაღდი, ისე უნაღდო ანგარიშსწორებით.

4. თარგმანთა ერთიან რეესტრში საბუთების გაგზავნის უფლება ექნება ნაფიც თარჯიმანს, სერტიფიცირებულ თარჯიმანს, თარჯიმანთა ასოციაციას (გამგეობის წევრებს და მათ მიერ უფლებამოსილ პირებს) და ნოტარიუსს (საჭიროების შემთხვევაში).

5. თარგმანთა ერთიანი რეესტრიდან უკვე თარგმნილი საბუთების ამოღების უფლება ექნება ნაფიც თარჯიმანს, სერტიფიცირებულ თარჯიმანს, თარჯიმანთა ასოციაციას (გამგეობის წევრებს და მათ მიერ უფლებამოსილ პირებს) და ნოტარიუსს.

6. ასოციაციის წევრი თარჯიმნების მიერ თარგმნილი საბუთების (შედგენილი-გაგზავნილი ნათარგმნი დოკუმენტების) დაარქივება ხდება ასოციაციის არქივში.

7. ნაფიცი თარჯიმნის მიერ თარგმნილი საბუთის დამოწმება ხდება ნაფიცი თარჯიმნის მიერ და ის აღარ საჭიროებს ნოტარიულ დამოწმებას. მის როგორც ცოცხალ,

ასევე ელექტრონულ ხელმოწერას და ბეჭედს გააჩნია იურიდიული ძალა თანაბარი ნოტარიული დამოწმებისა.

8. სერტიფიცირებული თარჯიმნის მიერ ხელმოწერილი (ცოცხალიც და ელექტრონულიც) თარგმანის დამოწმება ხდება ნოტარიული წესით.

9. ნოტარიუსი ამოწმებს მხოლოდ სერტიფიცირებული თარჯიმნის მიერ თარგმნილ და ცოცხლად ან ელექტრონულად ხელმოწერილ დოკუმენტს.

## მუხლი 7. თარჯიმნები

### 1. ნაფიცი თარჯიმანი

ნაფიც თარჯიმანს აქვს ჩაბარებული მთარგმნელობითი კომპეტენციის დამადასტურებელი, საკვალიფიკაციო გამოცდები უცხო ენაში (ენებში) და ქართულ ენაში. აქვს მინიჭებული სერტიფიცირებული თარჯიმნის კვალიფიკაცია და გააჩნია სერტიფიცირებული თარჯიმნის ლიცენზია. ნაფიცი თარჯიმანი ენის (ენების) ცოდნის დამადასტურებელ საკვალიფიკაციო გამოცდებს აბარებს გამოცდების ეროვნულ ცენტრში.

ნაფიცი თარჯიმანი დამატებით აბარებს გამოცდას იუსტიციის სამინისტროში შესაბამისი ტრენინგების გავლის შემდეგ, რომელიც მას უფლებას აძლევს თავად დაამოწმოს თავისი თარგმანი. გამოცდის ჩაბარების შემდგომ მას ენიჭება ნაფიცი თარჯიმნის კვალიფიკაცია და იღებს ნაფიცი თარჯიმნის ლიცენზიას. ის დებს ფიცს, ხელს აწერს ფიცის (განცხადების) ტექსტს, რომელიც ინახება მის პირად საქმეში.

ნაფიც თარჯიმანს გააჩნია თავისი ბეჭედი, რომელიც დაფიქსირებულია იუსტიციის სამინისტროში. მის ხელმოწერას, როგორც ცოცხალს, ასევე ელექტრონულს, გააჩნია იურიდიული ძალა. ნაფიცი თარჯიმანი თავად ამოწმებს თავის თარგმანს ხელმოწერით და ბეჭდით. ნაფიცი თარჯიმანის მიერ ხელმოწერილი და ბეჭედდასმული საბუთი ითვლება იურიდიულ დოკუმენტად ყველა სახელმწიფო თუ არასახელმწიფო ორგანიზაციისთვის მთელი ქვეყნის მასშტაბით, ასევე საქართველოს საკონსულოებში.

ნაფიცი თარჯიმანი ეწევა როგორც წერით, ისე ზეპირ მთარგმნელობით მომსახურებას. თარგმნის საჭიროების შემთხვევაში ნაფიცი თარჯიმანი სკაიპით ერთვება ნოტარიუსს სკაიპით განხორციელებული ნოტარიული მოქმედების დროს ან ყველა სხვა საჭირო შემთხვევაში. (ეს საკითხი და მასთან დაკავშირებული ყველა დეტალი განხილული და შეთანხმებული უნდა იყოს ნოტარიუსთა პალატასთან).

### 2. სერტიფიცირებული თარჯიმანი

სერტიფიცირებულ თარჯიმანს აქვს ჩაბარებული მთარგმნელობითი კომპეტენციის დამადასტურებელი, საკვალიფიკაციო გამოცდები უცხო ენაში (ენებში) და ქართულ ენაში. აქვს მინიჭებული სერტიფიცირებული თარჯიმნის კვალიფიკაცია და გააჩნია სერტიფიცირებული თარჯიმნის ლიცენზია. სერტიფიცირებული თარჯიმანი ენის (ენების) ცოდნის დამადასტურებელ საკვალიფიკაციო გამოცდებს აბარებს გამოცდების ეროვნულ ცენტრში.

სერტიფიცირებული თარჯიმნის მიერ ხელმოწერილ თარგმანს (როგორც ცოცხალი ხელმოწერით, ისე ელექტრონული ხელმოწერით) ამოწმებს ნოტარიუსი.

სერტიფიცირებულ თარჯიმანს უფლება აქვს თარგმნის საჭიროების შემთხვევაში სკაიპითვე ჩაერთოს ნოტარიუსს სკაიპით განხორციელებული ნოტარიული მოქმედებისას. (ეს საკითხი და მასთან დაკავშირებული ყველა დეტალი განხილული და შეთანხმებული უნდა იყოს ნოტარიუსთან პალატასთან).

სერტიფიცირებულ თარჯიმანს *ევალუა მხოლოდ დოკუმენტის თარგმნა*. მის მოვალეობაში არ შედის საბუთის ნოტარიული დამოწმებისთვის ზრუნვა. ნათარგმნი საბუთი დასამოწმებლად ნოტარიუსთან მიაქვს თავად კლიენტს.

სერტიფიცირებულ თარჯიმანს ასევე შეუძლია ზეპირი მთარგმნელობითი მომსახურების გაწევა ნებისმიერი სახელმწიფო თუ არასახელმწიფო ორგანიზაციისთვის, ფიზიკური თუ იურიდიული პირისთვის.

სერტიფიცირებულ თარჯიმანს შესაძლებელია ჰქონდეს საკუთარი ბეჭედი, მაგრამ მას არ გააჩნია იურიდიული ძალა და ის არ არის აღრიცხული იუსტიციის სამინისტროში.

### 3. მთარგმნელ-თარჯიმანი

მთარგმნელ-თარჯიმანი არის დიპლომირებული თარჯიმანი, რომელიც წლებია მუშაობს ამ სფეროში და გააჩნია დიდი გამოცდილება. ის თარგმნის ნებისმიერი სირთულის და სახეობის ტექსტს ან დოკუმენტს, გააჩნია მასზე ხელმოწერის უფლება, მაგრამ მის ნათარგმნს არ ამოწმებს ნოტარიუსი. ასოციაციის მიერ მას აქვს მინიჭებული მთარგმნელ-თარჯიმნის კვალიფიკაცია და გააჩნია მთარგმნელ-თარჯიმნის ლიცენზია.

მას შეუძლია ზეპირი მთარგმნელობითი მომსახურების გაწევა ნებისმიერი სახელმწიფო თუ არასახელმწიფო ორგანიზაციისთვის, ფიზიკური თუ იურიდიული პირისთვის. გარდა ნოტარიუსისთვის სკაიპის ჩაწერისას.

საკვალიფიკაციო გამოცდების ჩაბარების შემთხვევაში ქართულ და უცხო ენაში (ენებში) მას ენიჭება სერტიფიცირებული თარჯიმნის კვალიფიკაცია და ეძლევა სერტიფიცირებული თარჯიმნის ლიცენზია. შესაბამისად მისი თარგმანი იძენს ნოტარიულად დამოწმების უფლებას.

ნაფიცი თარჯიმნის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში, მას ენიჭება ნაფიცი თარჯიმნის კვალიფიკაცია და იღებს ნაფიცი თარჯიმნის ლიცენზიას. და ეძლევა ყველა ის უფლება, რაც გააჩნია ნაფიც თარჯიმანს.

### 4. დამწეები თარჯიმანი

დამწეები თარჯიმანი არის დიპლომირებული უცხო ენის (ენების) მცოდნე პირი, რომელსაც არ გააჩნია მთარგმნელობითი გამოცდილება. ის ხდება ასოციაციის წევრი, გადის ასოციაციის გამგეობის მიერ დამტკიცებულ პროფესიული დახელოვნების 3-თვიან პროგრამას და მისი დამთავრების შემდეგ აბარებს ასოციაციის შიდა გამოცდას. (გამოცდების ჩატარების ყველა წესი (რამდენჯერ ჩატარდება წელიწადში, ვის მიერ და მასთან დაკავშირებული ხარჯები) განხილული და დადგენილი იქნება ასოციაციის საერთო კრებაზე). გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში მას ენიჭება დამწეები თარჯიმნის კვალიფიკაცია და იღებს დამწეები თარჯიმნის ლიცენზიას. მას უფლება

ეძლევა თარგმნოს საბუთები კურატორი (მენტორი) თარჯიმნის მეთვალყურეობის ქვეშ. ასევე გასწიოს ზეპირი მთარგმნელობითი მომსახურება მენტორი თარჯიმნის წერილობითი რეკომენდაციის არსებობისას.

ერთწლიანი სამუშაო გამოცდილების შემდეგ ის აბარებს შიდა გამოცდას ასოციაციაში და ხდება მთარგმნელ-თარჯიმანი. (გამოცდების ჩატარების ყველა წესი (რამდენჯერ ჩატარდება წელიწადში, ვის მიერ და მასთან დაკავშირებული ხარჯები) განხილული და დადგენილი იქნება ასოციაციის საერთო კრებაზე).

მთარგმნელ-თარჯიმნად მუშაობის ორწლიანი გამოცდილების შემდეგ მას უფლება აქვს ჩააბაროს საკვალიფიკაციო გამოცდები და გახდეს სერტიფიცირებული თარჯიმანი.

სერტიფიცირებულ თარჯიმანად მუშაობის სამწლიანი გამოცდილების შემდეგ მას უფლება აქვს ჩააბაროს ნაფიცი თარჯიმნის გამოცდა და გახდეს ნაფიცი თარჯიმანი.

თარჯიმნობის ყველა საფეხურის გავლა სავალდებულო არ არის. მას შეუძლია გაჩერდეს ნებისმიერ საფეხურზე.

#### 5. კონსულტანტი

კონსულტანტი არის ნებისმიერი პროფესიის დიპლომირებული პირი (ექიმი, იურისტი, ინჟინერი, ეკონომისტი და ა.შ.), რომელმაც იცის უცხო ენა (ენები) და დარწმუნებული საკუთარ კომპეტენციაში. მას არ მოეთხოვება ენის ცოდნის დამადასტურებელი დიპლომის ან სერტიფიკატის წარმოდგენა. ის კონსულტაციას უწევს თარჯიმანს და/ან ეხმარება მას თარგმნაში (თავისი პროფესიის სფეროს ფარგლებში). კონსულტანტს არ აქვს უფლება დამოუკიდებლად განახორციელოს წერილი და/ან ზეპირი მთარგმნელობითი მომსახურება.

მაგრამ მას შეუძლია სურვილის არსებობის შემთხვევაში აიღოს ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი, ჩააბაროს გამოცდები და გაიაროს თარჯიმნობის ყველა საფეხური ან გაჩერდეს ნებისმიერ მათგანზე.

6. თარჯიმნობის ყველა საფეხურის გავლა არ წარმოადგენს ვალდებულებას. თარჯიმანს შეუძლია გაჩერდეს ნებისმიერ საფეხურზე.

#### მუხლი 8. ლიტერატურული თარგმანი

1. ნებისმიერ ფილოლოგს, ვისაც გააჩნია უცხო ენის ფილოლოგიის დიპლომი, თარგმნის ნება-სურვილი და დარწმუნებულია საკუთარ კომპეტენციაში, შეუძლია ლიტერატურული თარგმანის განხორციელება.

2. მხატვრული ლიტერატურის თარჯიმანს არ ევალება გამოცდის ჩაბარება, სერტიფიცირება და ლიცენზირება.

3. სურვილის შემთხვევაში მას შეუძლია გაწვერიანდეს საქართველოს თარჯიმანთა საერთაშორისო ასოციაციაში („სთასა“), გაიაროს თარჯიმნობის ნებისმიერი ან ყველა საფეხური და გახდეს შესაბამისი დონის თარჯიმანი.

4. ნებისმიერი დონის თარჯიმანს (გარდა კონსულტანტისა) სურვილის შემთხვევაში შეუძლია ლიტერატურული თარგმანის განხორციელება.

5. მხატვრული ლიტერატურის თარჯიმანს მის მიერ განხორციელებულ მხატვრული ნაწარმოების თარგმანზე გააჩნია საავტორო უფლება და ის მთელი ცხოვრების მანძილზე სარგებლობს ამ უფლებით, (უფლების რეგისტრაცია ხდება საავტორო უფლებათა ასოციაციაში) რაც გულისხმობს შემდეგს:

ა) მისი სახელი, როგორც ამ ნაწარმოების თარგმანის ავტორის, დატანილი უნდა იყოს აღნიშნული ნაწარმოების ყოველი გამოცემისას;

ბ) მას სრული უფლება გააჩნია გამოთქვას პრეტენზია მის მიერ შესრულებული თარგმანის ნებისმიერი სახის ცვლილების ან დამახინჯების შემთხვევაში;

გ) არც გამომცემელს, არც სხვა ნებისმიერ პირს არ აქვს უფლება რაიმე სახის ცვლილება შეიტანოს თარგმანის ტექსტში თარჯიმნის ნებართვის გარეშე;

დ) ლიტერატურული თარჯიმნის მიერ თარგმნილი მხატვრული ნაწარმოების გამოცემა, პრეზენტაცია, ტრანსლაცია, ხელახალი თარგმანი, ადაპტირება, მოდიფიცირება და სხვა ნებისმიერი ქმედება საჭიროებს თანხმობას მისი მხრიდან.

6. საავტორო უფლება არ გააჩნია ნაფიც და სერტიფიცირებულ თარჯიმანს, მთარგმნელ-თარჯიმანს, დამწყებ თარჯიმანს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მათ განახორციელეს ლიტერატურული თარგმანი.

## თავი IV. საკვალიფიკაციო გამოცდები

### მუხლი 9. საკვალიფიკაციო გამოცდები

1. თარჯიმანთა საკვალიფიკაციო გამოცდებს ახარებენ ნაფიცი და სერტიფიცირებული თარჯიმნობის მაძიებელი პირები.

2. გამოცდებს ატარებს გამოცდების ეროვნული ცენტრი.

3. თარჯიმანთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების უფლება აქვს საქართველოს მოქალაქეს ან უცხო ქვეყნის მოქალაქეს, რომელიც ცხოვრობს და მოღვაწეობს საქართველოში და გააჩნია უცხო ენაში უმაღლესი განათლების დიპლომი ან უცხო ენაში B2 (მხოლოდ გარდამავალი პერიოდისთვის), C1, C2 დონის საერთაშორისოდ აღიარებული სერტიფიკატი და თან ნებისმიერ დარგში უმაღლესი განათლების დიპლომი.

4. უმაღლესი განათლების დიპლომის არმქონე პირები გამოცდაზე არ დაიშვებიან.

5. გამოცდები ტარდება უცხო ენაში (ენებში) და ქართულ ენაში.

6. თუ თარჯიმანმა იცის ორი ან მეტი უცხო ენა, გამოცდას ახარებს ორივე (ან მეტი) ენაში და ორივე (ან მეტი) ენაში გამოცდის ჩაბარების და სერტიფიკატის აღების შემთხვევაში უფლება ეძლევა ტექსტი თარგმნოს ერთი უცხო ენიდან პირდაპირ მეორე უცხო ენაზე, ქართული ენის ჩართვის გარეშე.

7. გამოცდები ტარდება ენის ზეპირ ცოდნაში და წერით უნარებში.

8. შემოწმების კრიტერიუმებია: სწორად გაიგოს და აღიქვას ზეპირი ტექსტი, გამართულად და თავისუფლად საუბრობდეს უცხო ენაზე, სწორად თარგმნოს ზეპირი ტექსტი, სწორად თარგმნოს წერილობითი ტექსტი.

9. მთარგმნელ-თარჯიმნის და დამწყები თარჯიმნის სტატუსის და ლიცენზიის მისაღებად გამოცდები ტარდება ასოციაციაში. (გამოცდების ჩატარების ყველა წესი

(რამდენჯერ ჩატარდება წელიწადში, ვის მიერ და მასთან დაკავშირებული ხარჯები) განხილული და დადგენილი იქნება ასოციაციის საერთო კრებაზე).

## თავი V. ასოციაციის წევრობა

### მუხლი 10. წევრად მიღება

1. საქართველოს თარჯიმანთა საერთაშორისო ასოციაციაში („სთასა“) გაწევრიანება შეუძლია მოქმედ თარჯიმანს, ასევე საქართველოს მოქალაქეს ან საქართველოში მცხოვრები უცხო ქვეყნის მოქალაქეს, რომელიც აღიარებს ასოციაციის წესდებას, იზიარებს ორგანიზაციის დეკლარირებულ მიზნებს და მონაწილეობას მიიღებს მის საქმიანობაში.

2. გასაწევრიანებლად წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

ა) პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ან პასპორტი;

ბ) საცხოვრებელი ადგილის მისამართი, საკონტაქტო ტელეფონი, ელ-ფოსტის მისამართი;

გ) სპეციალობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია:

- მოქმედი თარჯიმნებისთვის თარჯიმნის სტატუსის დამადასტურებელი სერტიფიკატი და ლიცენზია;

- დამწყები თარჯიმნებისთვის უცხო ენის (ენების) ცოდნის დამადასტურებელი დიპლომი ან სერტიფიკატი;

დ) სივი (განაცხადის ფორმა, სადაც მითითებული იქნება ყველა რეკვიზიტები).

3. ასოციაციის წევრად მიღება ხდება მსურველის წერილობითი განცხადების ან ელექტრონული აპლიკაციის შევსების საფუძველზე გამგეობის სხდომაზე დამსწრე წევრთა უბრალო უმრავლესობის გადაწყვეტილებით. წევრად მიღების საკითხი განიხილება გამგეობის მიერ ორგანიზაციაში განცხადების შეტანიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

4. გაწევრიანება ნებაყოფლობითია.

5. ასოციაციის წევრი თავისი კვალიფიკაციისა და შესაძლებლობების შესაბამისად მონაწილეობას იღებს ასოციაციის საქმიანობაში, სხვადასხვა პროგრამებსა და პროექტებში, მათ შემუშავებაში და განხილვაში.

6. ასოციაცია უზრუნველყოფს თითოეული მისი წევრის უფლებების სამართლებრივ დაცვას; ეხმარება მას კლიენტთან ან რომელიმე ორგანიზაციასთან წარმოქმნილი ნებისმიერი პრობლემის ან სადავო საკითხის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადაწყვეტაში.

7. თუ მოქმედი თარჯიმანი არ არის ასოციაციის წევრი, ასოციაცია არ იღებს ვალდებულებას ან პასუხისმგებლობას არა ასოციაციის წევრის საქმიანობის შედეგებზე და არ უზრუნველყოფს მის სამართლებრივ დაცვას.

### მუხლი 11. ასოციაციის წევრობის შეჩერება

1. საქართველოს თარჯიმანთა საერთაშორისო ასოციაციის („სთასა“-ს) წევრობა თარჯიმანს შეუჩერდება ასოციაციის გამგეობის გადაწყვეტილებით:

- პირადი განცხადების საფუძველზე;
- თარჯიმანთა ეთიკის დარღვევის შემთხვევაში (ყველა ინდივიდუალურ შემთხვევას განიხილავს ეთიკის კომისია თავად ასოციაციის წევრის თანდასწრებით);
- საწევროს გადაუხდელობის შემთხვევაში (ასოციაციის საერთო კრების მიერ დადგენილი იქნება გადახდის ბოლო ვადა);

2. საქართველოს თარჯიმანთა საერთაშორისო ასოციაციის წევრობის შეჩერების და/ან აღდგენის გადაწყვეტილებას იღებს ასოციაციის გამგეობა.

## მუხლი 12. წევრობის შეწყვეტა

1. საქართველოს თარჯიმანთა საერთაშორისო ასოციაციის წევრს უფლებამოსილება უწყდება:

- პირადი განცხადების საფუძველზე;
- სასამართლოს მიერ მისი ქმედუუნაროდ ცნობისას;
- საწევროს გადაუხდელობის შემთხვევაში;
- თარჯიმანთა ასოციაციის ეთიკის კომისიის განსახილველი საკითხის საფუძველიანად შეწავლისა და განხილვის შემდეგ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე;

- საქართველოს სსკ მუხლი 370-ის დარღვევის შემთხვევაში;
- გარდაცვალების შემთხვევაში;

2. წევრობის შეწყვეტის საკითხი გამგეობას გააქვს საერთო კრებაზე და გადაწყვეტილებას იღებს საერთო კრება ხმათა უმრავლესობით.

## თავი VI. მთარგმნელობითი საქმიანობის ორგანიზება

მუხლი 13. მთარგმნელობითი საქმიანობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა

1. ნაფიც და სერტიფიცირებულ თარჯიმანს მთარგმნელობითი საქმიანობის განხორციელება შეუძლია როგორც ინდივიდუალურად, ასევე უფლება აქვს თანასწორუფლებიანობის საფუძველზე სხვა თარჯიმანთან (ან თარჯიმნებთან) ერთად ჩამოაყალიბოს მთარგმნელობითი ცენტრი „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

2. მთარგმნელობითი ცენტრის შესახებ ინფორმაცია მისი შექმნიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში უნდა წარედგინოს საქართველოს თარჯიმანთა საერთაშორისო ასოციაციის („სთასა“-ს) გამგეობას. ინფორმაციაში მითითებული უნდა იყოს მთარგმნელობითი ცენტრის იურიდიული და/ან ფაქტობრივი მისამართი, საკონტაქტო ტელეფონი და ელექტრონული ფოსტა, მთარგმნელობით ცენტრში გაერთიანებული თარჯიმნის/თარჯიმნების მონაცემები.

3. ასოციაციის ფილიალებში და/ან მთარგმნელობით ცენტრებში მომუშავე თარჯიმნები ხელმძღვანელობენ საქართველოს თარჯიმანთა საერთაშორისო

ასოციაციის („სთასა“) საერთო კრების მიერ შემუშავებული წერის ნორმებით და წესებით, ასევე დოკუმენტების ფასებით და თარჯიმანთა ეთიკის ნორმების დაცვით.

## თავი VII. საქართველოს თარჯიმანთა საერთაშორისო ასოციაცია (შემოკლებით „სთასა“)

მუხლი 14. თარჯიმანთა საერთაშორისო ასოციაციის სტატუსი

1. საქართველოს თარჯიმანთა საერთაშორისო ასოციაცია („სთასა“) არის წევრობაზე აგებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.

2. საქართველოს თარჯიმანთა საერთაშორისო ასოციაციის („სთასა“) საქმიანობის ძირითადი პრინციპები და მიმართულებები განისაზღვრება ასოციაციის წესდებით.

მუხლი 15. თარჯიმანთა საერთაშორისო ასოციაციის სიმბოლიკა

1. საქართველოს თარჯიმანთა საერთაშორისო ასოციაციის („სთასა“) სიმბოლიკას ამტკიცებს ასოციაციის საერთო კრება გამგეობის წარდგინებით.

მუხლი 16. თარჯიმანთა საერთაშორისო ასოციაციის უფლებამოსილება

1. თარჯიმანთა საერთაშორისო ასოციაცია უფლებამოსილია მიანიჭოს თარჯიმანს თარჯიმნის სტატუსი და გასცეს ლიცენზია, გარდა ნაფიცი თარჯიმნობის ლიცენზიისა, იმისდა მიუხედავად არის ის მისი წევრი თუ არა.

2. ასოციაციის წევრ ყველა თარჯიმანს ექნება ასოციაციის წევრობის დამადასტურებელი მოწმობა (პლასტიკური მოწმობა ინდივიდუალური სიითი ნომრით).

3. თარჯიმანთა საერთაშორისო ასოციაცია უფლებამოსილია შეუჩეროს თარჯიმანს თარჯიმნის სტატუსი და ლიცენზია:

- პირადი განცხადების საფუძველზე;
- თარჯიმანთა ეთიკის დარღვევის შემთხვევაში;

4. სტატუს და ლიცენზია შეჩერებული თარჯიმანი ვერ განახორციელებს ზეპირ და წერილობით მთარგმნელობით მომსახურებას, სანამ არ მოხდება მისი სტატუსის და ლიცენზიის აღდგენა.

5. თარჯიმანთა საერთაშორისო ასოციაცია უფლებამოსილია შეუწყვიტოს თარჯიმანს თარჯიმნის სტატუსი და ლიცენზია:

- ა) პირადი განცხადების საფუძველზე;
- ბ) სასამართლოს მიერ მისი ქმედუუნაროდ ცნობისას;
- გ) თარჯიმანთა ასოციაციის ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე;
- ე) საქართველოს სსკ მუხლი 370-ის დარღვევის შემთხვევაში;
- ვ) გარდაცვალების შემთხვევაში;

6. თარჯიმნის სტატუსის და ლიცენზიის გაცემის, შეჩერების, აღდგენისა და გაუქმების გადაწყვეტილებას იღებს ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო.

7. ასოციაციას აქვს უფლება ასოციაციის წევრი თარჯიმნების მონაცემები (სახელი და გვარი, ენა(ენები), სტატუსი, ლიცენზიის ნომერი, ტელეფონი, ელ-ფოსტა) განათავსოს ასოციაციის საიტზე და იმ არაწევრი თარჯიმნებისა, რომლებიც ამის სურვილს გამოთქვამენ.

**მუხლი 17. თარჯიმანთა საერთაშორისო ასოციაციის („სთასა“) ორგანიზაციული სტრუქტურა**

1. თარჯიმანთა ასოციაციაში განსაზღვრულ ფუნქციათა შესასრულებლად იქმნება:

ა) აღმასრულებელი საბჭო;

ბ) ეთიკის კომისია.

2. თარჯიმანთა ასოციაცია უფლებამოსილია თავისი ფუნქციების შესასრულებლად შექმნას სხვა სტრუქტურული დანაყოფები, რომელთა საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები განისაზღვრება შესაბამის დანაყოფთა დებულებებით. თითოეულ დანაყოფს ხელმძღვანელობს აღმასრულებელი საბჭოს ერთ-ერთი წევრი.

3. საქართველოს თარჯიმანთა საერთაშორისო ასოციაციასთან იქმნება თარჯიმანთა სასწავლო ცენტრი, რომელიც განახორციელებს დამწყებ თარჯიმანთა მომზადებას და მოქმედ თარჯიმანთა პროფესიულ გადამზადებას. თარჯიმანთა სასწავლო ცენტრის საქმიანობის წესი განისაზღვრება თარჯიმანთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულებით.

**მუხლი 18. საქართველოს თარჯიმანთა საერთაშორისო ასოციაციის საერთო კრება**

1. საქართველოს თარჯიმანთა საერთაშორისო ასოციაციის წევრთა საერთო კრება წარმოადგენს ასოციაციის უმაღლეს ორგანოს, რომელიც მოიწვევა გამგეობის მიერ მინიმუმ წელიწადში ერთხელ მაინც, ან საჭიროების შემთხვევაში.

2. საერთო კრებას თავმჯდომარეობს ასოციაციის პრეზიდენტი ან ვიცე-პრეზიდენტი. პრეზიდენტის ან ვიცე-პრეზიდენტის მიერ ამ უფლების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, საერთო კრებას თავმჯდომარეობს საერთო კრების მიერ არჩეული ორგანიზაციის ერთ-ერთი წევრი.

3. საერთო კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება ორგანიზაციის წევრთა ნახევარზე მეტი.

4. საერთო კრება გადაწყვეტილებას იღებს ასოციაციის დამსწრე წევრთა ხმათა უბრალო უმრავლესობით.

5. საერთო კრების მოწვევის შესახებ ასოციაციის წევრებს ეცნობებათ წერილობით ან კომუნიკაციის სხვა საშუალებით კრების ჩატარებამდე სულ მცირე 2 კვირით ადრე. შეტყობინებაში აღინიშნება კრების ჩატარების ადგილი, დრო და დღის წესრიგი.

6. საქართველოს თარჯიმანთა საერთაშორისო ასოციაციის საერთო კრება ხმათა უმრავლესობით:

ა) ამტკიცებს ასოციაციის წესდებას და შეაქვს მასში ცვლილებები;

ბ) ირჩევს და ათავისუფლებს ასოციაციის თავმჯდომარეს, აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიის წევრებს წესდებით დადგენილი წესით;

გ) ამტკიცებს თარჯიმანთა პროფესიული ეთიკის კოდექსს;

დ) აწესებს საწევრო გადასახადის ფიქსირებულ ოდენობას;

ე) ადგენს და ამტკიცებს სათარგმნი წერითი დოკუმენტების ფასებს (კანონით დადგენილი ყველა გადასახადის და ასოციაციის პროცენტის ჩათვლით) დოკუმენტების სახეობების მიხედვით, რომელიც ერთნაერი იქნება ყველა ენისთვის და სავალდებულო ყველა თარჯიმნისთვის;

ვ) ადგენს ზეპირი მომსახურების ფასებს სხვადასხვა ორგანიზაციებისთვის, ასევე:

- სურდოთარჯიმნის მომსახურების ფასს;

- თანამიმდევრული მთარგმნელობითი მომსახურების ფასს ბიზნეს შეხვედრების დროს;

- სინქრონული მთარგმნელობითი მომსახურების ფასს კონფერენციებზე.

ზ) ადგენს და ამტკიცებს წერის ნორმებს და წესებს საერთაშორისოდ აღიარებული ნორმების მიხედვით.

თ) აცნობს იუსტიციის სამინისტროს მიერ დადგენილ ნაფიცი თარჯიმნის მიერ საბუთის დამოწმების ფასს და წესებს.

## მუხლი 19. საქართველოს თარჯიმანთა საერთაშორისო ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო

1. საქართველოს თარჯიმანთა საერთაშორისო ასოციაციის აღმასრულებელი ორგანო არის აღმასრულებელი საბჭო, რომელიც სხდომა იმართება თვეში ერთხელ ან საჭიროების შემთხვევაში.

2. აღმასრულებელი საბჭოს წევრისთვის საბჭოს სხდომაზე დასწრება სავალდებულოა.

3. აღმასრულებელი საბჭო შედგება 10 წევრისგან, რომელთაგან 9-ს ირჩევს 5 წლის ვადით ასოციაციის საერთო კრება საქართველოს თარჯიმანთა საერთაშორისო ასოციაციის შემადგენლობიდან. ასოციაციის არაწევრი თარჯიმანი არ შეიძლება არჩეული იქნას აღმასრულებელ საბჭოში.

4. საქართველოს თარჯიმანთა საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტი თანამდებობრივად შედის საქართველოს თარჯიმანთა საერთაშორისო ასოციაციის აღმასრულებელ საბჭოში.

5. აღმასრულებელი საბჭოს წევრებად არჩეულად ითვლებიან ის კანდიდატები, რომლებიც მიიღებენ სხვა კანდიდატებზე მეტ ხმას.

6. აღმასრულებელი საბჭო უფლებამოსილია, თუ მის სხდომას ესწრება საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გამამწყვეტია სხდომის თავმჯდომარის ხმა.

7. საქართველოს თარჯიმანთა საერთაშორისო ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო:

- ა) კოლეგიალურად ახორციელებს ასოციაციის ხელმძღვანელობას;
- ბ) სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ამტკიცებს ასოციაციის ბიუჯეტს;
- გ) ამტკიცებს თარჯიმანთა შიდა საგამოცდო კომისიის დებულებას;
- დ) ამტკიცებს თარჯიმანთა სასწავლო ცენტრის საქმიანობის წესს;
- ე) გამოყოფს სახსრებს ასოციაციის საჭიროებისთვის, ადგენს სამივლინებო და სხვა ადმინისტრაციული ხარჯების ოდენობებს;
- ვ) არსებული მონაცემების საფუძველზე ორგანიზებას უწევს საქართველოს თარჯიმანთა საერთაშორისო ასოციაციის წევრების და არაწევრი თარჯიმნების საერთო სიის შედგენას, სადაც მითითებული იქნება მოქმედი თარჯიმნის სახელი, გვარი, ენა (ენები), სტატუსი, ლიცენზიის ნომერი, ტელეფონი, ელ-ფოსტა, სიაში ცვლილებების შეტანას და მის გამოქვეყნებას.
- ზ) აღასრულებს საქართველოს თარჯიმანთა საერთაშორისო ასოციაციის საერთო კრების და ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებებს;
- თ) ამტკიცებს ასოციაციის საშტატო განრიგს, დაქირავებულ პირთა შრომის ანაზღაურების ოდენობებს;
- ი) ამყარებს საერთაშორისო კავშირებს და ამ ურთიერთობებში არის ასოციაციის წარმომადგენელი;
- კ) აწარმოებს ასოციაციის წევრ თარჯიმანთა და თარჯიმნობის მსურველთა პირად საქმეებს;
- ლ) ასოციაციის პრეზიდენტის მიერ უფლებამოსილებების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში თავისი შემადგენლობიდან ირჩევს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს პრეზიდენტის უფლებამოსილებების დროებით განსახორციელებლად;
- მ) ახორციელებს ამ კანონით და საქართველოს თარჯიმანთა საერთაშორისო ასოციაციის წესდებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

**მუხლი 20. საქართველოს თარჯიმანთა საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტი**

1. საქართველოს თარჯიმანთა საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტს თარჯიმანთა ასოციაციის წევრთაგან ირჩევს ასოციაციის საერთო კრება 5 წლის ვადით. ასოციაციის პრეზიდენტი შეიძლება აირჩეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

2. თარჯიმანთა ასოციაციის პრეზიდენტი იმავდროულად არის აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარე და წარმოადგენს ასოციაციას.

**მუხლი 21. საქართველოს თარჯიმანთა საერთაშორისო ასოციაციის ეთიკის კომისია**

1. საქართველოს თარჯიმანთა საერთაშორისო ასოციაციის ეთიკის კომისია შედგება 12 წევრისგან, რომლებსაც საერთო კრება ირჩევს 5 წლის ვადით საქართველოს თარჯიმანთა საერთაშორისო ასოციაციის („სთასა“) შემადგენლობიდან. ასოციაციის არაწევრი თარჯიმანი არ შეიძლება არჩეული იქნას ეთიკის კომისიაში.

2. ეთიკის კომისიის წევრებად არჩეულად ითვლებიან ის კანდიდატები, რომლებიც მიიღებენ სხვა კანდიდატებზე მეტ ხმას.

3. ეთიკის კომისია თავის საქმიანობას ახორციელებს დამოუკიდებლად ამ კანონის შესაბამისად და პროფესიული ნორმების საფუძველზე.

4. ეთიკის კომისია თავისი შემადგენლობიდან ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, 2 წლის ვადით ირჩევს ეთიკის კომისიის თავმჯდომარეს, რომელიც იმავდროულად უნდა იყოს საქართველოს თარჯიმანთა საერთაშორისო ასოციაციის (სთასა) წევრი. პირი ეთიკის კომისიის თავმჯდომარედ შეიძლება აირჩეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

5. ეთიკის კომისია ამოწმებს ასოციაციის წევრი თარჯიმნის შესახებ შემოსულ ინფორმაციას, სწავლობს მის საფუძვლიანობას და წყვეტს თარჯიმნის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხს.

6. ანონიმური წერილი და შეტყობინება არ შეიძლება საფუძველად დაედოს თარჯიმნის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხის განხილვას.

7. ეთიკის კომისიას გადაწყვეტილება გამოაქვს საქართველოს თარჯიმანთა საერთაშორისო ასოციაციის („სთასა“-ს) სახელით.

## **თავი VIII. მოქმედი თარჯიმნის პასუხისმგებლობა, წახალისება და სამართლებრივი დაცვა**

### **მუხლი 22. თარჯიმნის პასუხისმგებლობა**

1. თარჯიმანს სამართალდარღვევის ჩადენისთვის დაეკისრება პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. (სსკ მუხლი 370)

### **მუხლი 23. თარჯიმნის წახალისება**

თარჯიმანს წარმატებული საქმიანობისათვის საქართველოს თარჯიმანთა საერთაშორისო ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წარდგინებით ასოციაციის საერთო კრებამ შეიძლება დაადგინოს თარჯიმანთა წახალისების ფორმები და წესი.

### **მუხლი 24. თარჯიმნის სამართლებრივი დაცვა**

1. თარჯიმნები თანასწორნი არიან კანონის წინაშე.

2. თარჯიმანი მთარგმნელობით საქმიანობას ახორციელებს დამოუკიდებლად. დაუშვებელია მის საქმიანობაში უხეში ჩარევა, მასზე ნემისმიერ სახის ზეწოლა და ძალდატანება.

3. თარჯიმანზე განხორციელებული ძალდატანებისთვის პირი ისჯება სსკ მუხლი 372-ით.

## **თავი IX. ურთიერთობა სასამართლოსთან, სამართალდამცავ ორგანოებთან, სანოტარო ბიუროებთან და სხვა ორგანიზაციებთან**

### **მუხლი 25. ურთიერთობა სასამართლოებთან**

1. ნებისმიერი დონის სასამართლოსთვის მთარგმნელობითი მომსახურების გაწევა შეუძლია თარჯიმანს, მთარგმნელობით ცენტრს, საქართველოს თარჯიმანთა საერთაშორისო ასოციაციას („სთასა“) და მის ნებისმიერ ფილიალს.

2. მთარგმნელობითი მომსახურების გაწევა ხდება ხელშეკრულების დადების საფუძველზე, სადაც შეთანხმებული იქნება მთარგმნელობითი მომსახურების ყველა პირობა.

(ეს საკითხი და მასთან დაკავშირებული ყველა დეტალი საჭიროებს განხილვას და შეთანხმებას სასამართლო ორგანოებთან)

#### მუხლი 26. ურთიერთობა სამართალდამცავ ორგანოებთან

1. სამართალდამცავი ორგანოებისთვის მთარგმნელობითი მომსახურების გაწევა შეუძლია თარჯიმანს, მთარგმნელობით ცენტრს, საქართველოს თარჯიმანთა საერთაშორისო ასოციაციას და მის ნებისმიერ ფილიალს.

2. მთარგმნელობითი მომსახურების გაწევა ხდება ხელშეკრულების დადების საფუძველზე, სადაც შეთანხმებული იქნება მთარგმნელობითი მომსახურების ყველა პირობა.

(ეს საკითხი და მასთან დაკავშირებული ყველა დეტალი საჭიროებს განხილვას და შეთანხმებას სამართალდამცავ ორგანოებთან)

#### მუხლი 27. ურთიერთობა სანოტარო ბიუროებთან

1. სანოტარო ბიუროებისთვის მთარგმნელობითი მომსახურების გაწევა შეუძლია საქართველოს თარჯიმანთა საერთაშორისო ასოციაციას („სთასა“).

2. მთარგმნელობითი მომსახურების გაწევა ხდება საქართველოს თარჯიმანთა საერთაშორისო ასოციაციასა და ნოტარიუსთა პალატას შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, სადაც შეთანხმებული იქნება მთარგმნელობითი მომსახურების ყველა პირობა.

3. ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების გზით საქართველოს თარჯიმანთა საერთაშორისო ასოციაციის ანგარიშზე თანხის გადარიცხვით. ასოციაცია თვითონ აწარმოებს ანგარიშსწორებას მის წევრს თუ არაწევრ თარჯიმანებთან.

(ეს საკითხი და მასთან დაკავშირებული ყველა დეტალი საჭიროებს განხილვას და შეთანხმებას ნოტარიუსთა პალატასთან)

#### მუხლი 28. ურთიერთობა სხვა ორგანიზაციებთან, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან

1. ნებისმიერ სახელმწიფო თუ არასახელმწიფო ორგანიზაციებისთვის, ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის მთარგმნელობითი მომსახურების გაწევა შეუძლია თარჯიმანს, მთარგმნელობით ცენტრს, საქართველოს თარჯიმანთა საერთაშორისო ასოციაციას („სთასა“-ს) და მის ნებისმიერ ფილიალს.

2. მომსახურება შეიძლება იყოს ერთჯერადი და მრავალჯერადი.

ა) ერთჯერადი მომსახურების შემთხვევაში მთარგმნელობითი მომსახურების გაწევა ხდება ზეპირი შეთანხმების საფუძველზე;

ბ) მრავალჯერადი მომსახურების შემთხვევაში მთარგმნელობითი მომსახურების გაწევა ხდება ხელშეკრულების დადების საფუძველზე, სადაც შეთანხმებული იქნება მთარგმნელობითი მომსახურების ყველა პირობა.

**მუხლი 29. კანონის ამოქმედება**

კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**განმარტებითი ბარათი**  
**საქართველოს კანონის პროექტზე**  
**„კანონპროექტი თარჯიმნების შესახებ“**

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

მთარგმნელობითი სფერო არის ერთ-ერთი ყველაზე მოუწესრიგებელი სფერო ქვეყანაში. მთარგმნელობით სფეროში ადგილი აქვს მთელ რიგ დარღვევებს: თარჯიმანთა შრომითი უფლებების დარღვევას, მათ პროფესიულ დისკრიმინაციას და პროფესიული ღირსების შელახვას. მთარგმნელობით სფეროში არსებული სრული უკონტროლობის და განუკითხაობის ფონზე ფინანსურად და მორალურად ზიანდება როგორც პროფესიონალი თარჯიმანი, ასევე კლიენტი.

კანონპროექტის მიღების მიზეზია თარჯიმანთა უფლებება/მოვალეობების კანონით დარეგულირება და ჩვენს სფეროში არსებული დარღვევების და უკანონო ქმედებების აღმოფხვრა.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია:

მთარგმნელობითი საქმიანობის სამართლებრივი მოწესრიგება.

მოქმედი თარჯიმნების ინტერესების და შრომითი თუ სხვა უფლებების დაცვა. თარჯიმანთა უფლებების და მოვალეობების ზუსტი განსაზღვრა.

მთარგმნელობითი მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება. მთარგმნელობითი მომსახურების გაუმჯობესების მიზნით თარჯიმანთა სერტიფიცირება და ლიცენზირება. ნაფიცი თარჯიმანის ინსტიტუტის შემოღება, რაც ბევრად გაუმარტივებს კლიენტს მთარგმნელობითი მომსახურების მიღებას.

თარჯიმანთა და თარგმანთა ერთიანი რეესტრის შექმნა, რომელიც თარჯიმანს გაუადვილებს მთარგმნელობითი მომსახურების შესრულებას, დაზოგავს თარჯიმანთა დროს და ენერგიას, დაზოგავს მის ფინანსებს. თარჯიმანი დროს არ დაკარგავს სხვადასხვა სანოტარო ბიუროებში სიარულში, რათა ნოტარიუსის თანდასწრებით მოაწეროს ხელი თარგმანს. ის მეტ ენერგიას და დროს დაუთმობს თარგმნას, მის ხარისხიან შესრულებას. სათარგმნი და უკვე ნათარგმნი მასალის ელექტრონული სახით მიწოდება (ელექტრონული ხელმოწერით, ბეჭდით ან ბეჭდის გარეშე) მოსახერხებელია, როგორც თარჯიმნისთვის, ასევე კლიენტისთვის. ეს ასევე გააფართოებს მეტი თარჯიმნის, განსაკუთრებით რაიონში მცხოვრები თარჯიმნების ჩართულობას მთარგმნელობით სფეროში.

თარჯიმანთა თავმოყრა ერთ სივრცეში, მათი აღრიცხვა, დალაგება ენების მიხედვით და ინტერნეტში განთავსება. ეს უზრუნველყოფს კლიენტისთვის თარჯიმანთან ხელმისაწვდომობას.

თარჯიმანთა ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება. საქართველოს თარჯიმანთა საერთაშორისო ასოციაციის საერთო კრების მიერ დამტკიცებული დოკუმენტთა ფასების მეშვეობით თარჯიმანს ზუსტად ეცოდინება, რამდენი ერგება მას ამა თუ იმ საბუთის თარგმნის შემთხვევაში (70%), რამდენი უნდა შეიტანოს ბიუჯეტში (20%) და რამდენი დატოვოს ასოციაციაში (10%).

თარჯიმანთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვა. ტრენინგების ჩატარება, კონფერენციების და სხვადასხვა სახის შეხვედრების მოწყობა. საქართველოს თარჯიმანთა საერთაშორისო ასოციაცია უკვე ორი წელია არის თარჯიმანთა მსოფლიო ფედერაციის (FIT) წევრი და უზრუნველყოფს მთარგმნელობით სფეროში წამყვანი ევროპული ქვეყნების გამოცდილების დანერგვას საქართველოში.

დამწყები თარჯიმნების მომზადება. მოქმედ თარჯიმანთა გადამზადება.

საქართველოს თარჯიმანთა საერთაშორისო ასოციაციის („სთასა“) უფლებამოსილებების და ვალდებულებების განსაზღვრა. მისი ფუნქციური მოწყობა მთარგმნელობითი საქმიანობის უკეთ წარმართვისთვის. მისი როლის გაზრდა თარჯიმნების ინტერესებისა თუ უფლებების დაცვაში და კვალიფიკაციის ამაღლებაში.

ა.გ.) კანონპროექტის ძირითადი არსი:

თარჯიმნების შესახებ კანონპროექტის ძირითადი არსი მდგომარეობს შემდეგში:

აუცილებელია თარჯიმანთა თავმოყრა ერთ სივრცეში. ამჟამად არ არსებობს ორგანო, რომელიც აწარმოებდეს იქნება თარჯიმნების აღრიცხვას. არავინ იცის რამდენი თარჯიმანია საქართველოში და ვინ სად მუშაობს. რომელი ენების თარჯიმნები გვყავს და რომელი ენების არა. გააჩნიათ თუ არა მათ შესაბამისი კვალიფიკაცია, აკმაყოფილებენ თუ არა ისინი თარჯიმნობის მოთხოვნებს. თარჯიმნების შესახებ კანონის მიღება უზრუნველყოფს თარჯიმნების თავმოყრას ერთ სივრცეში, მათ აღრიცხვას და რეგისტრაციას, დალაგენას ენების და სტატუსის მიხედვით, მათ სერტიფიცირებას და ლიცენზირებას.

თარჯიმანთა სერტიფიცირება და ლიცენზირება არის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი. ყველა თარჯიმანს უნდა ჰქონდეს სასერტიფიკატო ან ასოციაციის შიდა გამოცდა ჩაბარებული. ეს მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მთარგმნელობითი მომსახურების ხარისხს. ყველა თარჯიმანს ენიჭება თარჯიმნობის შესაბამისი სტატუსი და ეძლევა ლიცენზია. თარჯიმნების დაყოფა სტატუსების მიხედვით მათ სტიმულს მისცემს იმუშაონ საკუთარ თავზე, აიმაღლონ კვალიფიკაცია, დაესწრონ სხვადასხვა ტრენინგებს და ერთი საფეხურით მაღლა აიწიონ, თარჯიმნობის უფრო მაღალ საფეხურზე ავიდნენ, რაც გააუმჯობესებს როგორც მათი მთარგმნელობითი მომსახურების ხარისხს, ასევე მათ ფინანსურ მდგომარეობას.

თარჯიმანთა ერთიანი რეესტრის შექმნაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია. ის უნდა მოეწყოს ერთიანი სანოტარო რეესტრის მსგავსად, სადაც საბუთების გადაგზავნა და ამოღება მოხდება ელექტრონული წესით. თარჯიმანთა ერთიან რეესტრში გადაიგზავნება მხოლოდ ის საბუთები, რომლებიც საჭიროებენ დამოწმებას. თარჯიმანთა

ერთიან რეესტრში გადაგზავნილი საბუთების თარგმნის უფლება ექნებათ ნაფიც და სერტიფიცირებულ თარჯიმნებს. ნაფიცი თარჯიმანი თარგმნის და ამოწმებს თავის თარგმანს, სერტიფიცირებული თარჯიმნის მიერ თარგმნილ დოკუმენტს ამოწმებს ნოტარიუსი.

თარგმნილ დოკუმენტზე ფურცლის ბოლოში ან თავში და ბოლოში მიეთითება თარჯიმნის სახელი, გვარი, სტატუსი და ლიცენზიის ნომერი.

თავში - „დოკუმენტი №0000000 თარგმნილია ამა და ამ ენიდან ამა და ამ ენაზე სერტიფიცირებული თარჯიმნის სახელი და გვარის (ლიცენზიის ნომერი №0000) მიერ: ბოლოში - სერტიფიცირებული თარჯიმანი: *ხელმოწერა /სახელი და გვარი/*“

თავში - „დოკუმენტი №0000000 თარგმნილია ამა და ამ ენიდან ამა და ამ ენაზე და დამოწმებულია ნაფიცი თარჯიმნის სახელი და გვარის (ლიცენზიის ნომერი №0000) მიერ: ბოლოში - ნაფიცი თარჯიმანი: *ხელმოწერა /სახელი და გვარი/ ბეჭედი*“

თარგმანთა ერთიან რეესტრში დოკუმენტის გადაგზავნა ხდება ელექტრონული წესით დასკანერებული სახით, პედეფის ფაილით. გადაგზავნის უფლება ექნება ნაფიც თარჯიმანს, სერტიფიცირებულ თარჯიმანს, თარჯიმანთა ასოციაციას (გამგეობის წევრებს და მათ მიერ უფლებამოსილ პირებს) და ნოტარიუსს. ნოტარიუსის მიერ იგზავნება ძირითადად ორენოვანი საბუთები და ის საბუთები, რომლის თარგმნა მას უშუალოდ სჭირდება. თარჯიმანი ასევე ერთვება სკაიპით ნოტარიუსს, როდესაც ის აწარმოებს სკაიპით ჩაწერას და კლიენტმა არ იცის ქართული ენა. ეს და სხვა ყველა საკითხი და მასთან დაკავშირებული ყველა წვრილმანი საჭიროებს დეტალურ დამუშავებას და შეთანხმებას ნოტარიუსთა პალატასთან.

ნაფიცი და სერტიფიცირებული თარჯიმნების სრული სია განთავსებული იქნება ასოციაციის საიტზე და მის გადამოწმებას დასჭირდება 1-2 წუთი.

თარჯიმნის მოვალეობაში შედის მხოლოდ დოკუმენტის თარგმნა. თარგმნილი დოკუმენტის ნოტარიუსთან დასამოწმებლად მიტანისთვის ზრუნავს თავად კლიენტი.

თარგმანთა ერთიან რეესტრში გადაგზავნილი საბუთების განაწილება თარჯიმნებზე მოხდეს კომპიუტერის მიერ, რათა მთარგმნელობით საქმიანობაში მონაწილეობა მიიღოს ყველა თარჯიმანმა და თავიდან ავიცილოთ მიკერძოება. ამით განსაკუთრებით რაიონში მცხოვრებ პროფესიონალ თარჯიმნებს მიეცემათ შესაძლებლობა ფართოდ ჩაერთონ მთარგმნელობით საქმიანობაში.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ თარგმანის ღირებულების ჩარიცხვა მოხდეს ასოციაციის ერთიან ანგარიშზე და შემდგომ ასოციაცია თავად აწარმოებს ანგარიშსწორებას თარჯიმნებთან. ასე ბევრად მარტივი იქნება კლიენტისთვის, რადგან კლიენტისთვის თარჯიმანთა სხვადასხვა ანგარიშების მითითება გამოიწვევს დიდ გაუგებრობას და დაბნეულობას.

დამწყებ თარჯიმანთა მომზადება ხდება შესაბამისი ენის პრაქტიკოსი, მოქმედი თარჯიმნის მიერ. დამწყები თარჯიმანი გადის ასოციაციის გამგეობის მიერ შემუშავებულ 3 თვიან მოსამზადებელ თეორიულ და პრაქტიკულ კურსს, აბარებს გამოცდას ასოციაციაში და ასოციაცია ანიჭებს მას დამწყები თარჯიმნის სტატუსს და

ლიცენზიას, რაც უფლებას აძლევს განახორციელოს მთარგმნელობითი საქმიანობა მენტორი თარჯიმნის მეთვალყურეობის ქვეშ.

დამწყებ თარჯიმანს შეუძლია გახდეს მთარგმნელ-თარჯიმანი, მთარგმნელ-თარჯიმანს - სერტიფიცირებული თარჯიმანი, სერტიფიცირებულს - ნაფიცი თარჯიმანი.

თარჯიმანი სრულყოფილად უნდა ფლობდეს ქართულ ენას. ამიტომ მიგვაჩნია, რომ რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ სკოლადამთავრებულმა და ფერეიდნელმა თარჯიმნებმა გაიარონ გადამზადების კურსი ქართულ ენაში. ასოციაციას ასევე უნდა ჰქონდეს ქართული ენის თარჯიმნის სერტიფიკატის გაცემის უფლება უცხოელებისთვის.

იშვიათი ენები. იმ შემთხვევაში, თუ საჭიროა ისეთი ენიდან თარგმანის გაკეთება, რომელიც სპეციალისტი საქართველოში არ არსებობს, სთასა უკავშირდება თარჯიმანთა საერთაშორისო ფედერაციას (FIT) და მისი დახმარებით ხდება საჭირო ენის თარჯიმნის მოძიება, რომელიც ტექსტს თარგმნის შედარებით ცნობილ ენაზე (ინგლისურად, რუსულად, ფრანგულად და ა.შ.) და შემდგომ ამ ენიდან ხდება მისი თარგმნა ქართულად. ამისთვის საჭიროა სხვა ქვეყნების ნაფიცი და სერტიფიცირებული თარჯიმნების აღიარება საქართველოს მიერ და, შესაბამისად, საქართველოს თარჯიმნების აღიარება სხვა ქვეყნების მიერ.

ზეპირი თარგმანის განხორციელებისას სასურველია მოხდეს კლიენტისა და თარჯიმნის მთლიანი საუბრის აუდიო ჩაწერა, რაც უზრუნველყოფს კლიენტის უფლებების დაცვას. არასწორი თარგმანის ეჭვის გაჩენის შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება თარგმანის სისწორის გადამოწმება.

მთარგმნელობითი საქმიანობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა.

მთარგმნელობითი საქმიანობის განხორციელება ხდება საქართველოს თარჯიმანთა საერთაშორისო ასოციაციაში (სთასა), მის ფილიალებში და მთარგმნელობით ცენტრებში. ამიტომ ერთიან სივრცეში თავმოყრილი უნდა იყვნენ არა მხოლოდ თარჯიმნები, არამედ მთარგმნელობითი ცენტრებიც. მთარგმნელობითი ცენტრის გახსნის უფლება უნდა ჰქონდეს მხოლოდ ნაფიც ან სერტიფიცირებულ თარჯიმანს. ეს გამორიცხავს მთარგმნელობით სფეროში არაპროფესიონალი და არათარჯიმანი პირების ჩართვას. ინფორმაცია მთარგმნელობითი ცენტრის შესახებ უნდა იგზავნებოდეს თარჯიმანთა ასოციაციაში (სთასა). საქართველოს თარჯიმანთა საერთაშორისო ასოციაციის საერთო კრების მიერ შემუშავებული წერის ნორმების და წესების, დოკუმენტების ფასების და თარჯიმანთა ეთიკის ნორმების დაცვა სავალდებულო უნდა იყოს მთარგმნელობით ცენტრებში მომუშავე ნებისმიერი თარჯიმნისთვის.

საქართველოს თარჯიმანთა საერთაშორისო ასოციაცია (სთასა) არის ორგანიზაცია, სადაც ხდება საქართველოში მოქმედი ყველა თარჯიმნის აღრიცხვა, რეგისტრირება და გაერთიანება, მიუხედავად იმისა, არის ის მისი წევრი თუ არა. სთასას წევრი თუ არაწევრი თარჯიმნების (სურვილის შემთხვევაში) მონაცემების განთავსება ხდება მის

საიტზე. მონაცემები მოიცავს სახელს, გვარს, ენას(ებს), სტატუსს, ლიცენზიის ნომერს, ტელეფონს, ელ-ფოსტას. იქნება როგორც ერთიანი სია, ასევე დალაგებული ენების მიხედვით. ეს გაუადვილებს კლიენტს მოძებნოს მისთვის სასურველი ენის თარჯიმანი და მიიღოს ხარისხიანი მთარგმნელობითი მომსახურება.

საქართველოს თარჯიმანთა საერთაშორისო ასოციაცია (სთასა) ანიჭებს თარჯიმანს თარჯიმნობის შესაბამის სტატუსს და გასცემს ლიცენზიას, გარდა ნაფიცი თარჯიმნის ლიცენზიისა. ასოციაციას ასევე აქვს უფლება სტატუსის შეჩერების, აღდგენის და გაუქმების, მიუხედავად იმისა, არის ის მისი წევრი თუ არა. ასოციაციას აქვს უფლება გასცეს ქართული ენის თარჯიმნის სერტიფიკატი.

საერთო კრებაზე ასოციაციის გამგეობა აცნობს თარჯიმნებს თავის უფლებებს და მოვალეობებს, ეთიკის ნორმებს, ასოციაციის შიდა განაწესს, სთასა-ში გაწევრიანების უპირატესობებს და ყველა იმ სიახლეს, რაც ხდება ან მოხდება მთარგმნელობით სფეროში. იცავს თარჯიმანთა უფლებებს. აწყობს ტრენინგებს, შეხვედრებს, კონფერენციებს. სთასა უკვე ორი წელია არის თარჯიმანთა მსოფლიო ფედერაციის (FIT-ის) წევრი და გეგმავს პოსტკოვიდურ პერიოდში გააგზავნოს თარჯიმნები საზღვარგარეთ თარჯიმანთა მსოფლიო ფედერაციის (FIT-ის) მიერ ორგანიზებულ კონფერენციებზე, რათა თარჯიმნები უკეთ გაეცნონ ჩვენს სფეროში მიმდინარე სიახლეებს, დასავლეთის წამყვანი ქვეყნების გამოცდილებას და ხელი შეუწყონ ამ გამოცდილების დანერგვას საქართველოში.

ურთიერთობა სხვადასხვა ორგანიზაციებთან.

თარჯიმანი, მთარგმნელობითი ცენტრი, სთასა და მისი ნებისმიერი ფილიალი მთარგმნელობითი მომსახურების ყველა საკითხს (დეტალს) ნებისმიერ ორგანიზაციასთან, ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებთან აგვარებს ზეპირი და/ან წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა.) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან.

2019 წლის 11 ივლისის იუსტიციის სამინისტროს მიერ გამოგზავნილ წერილში №10244 KA010109043323819 მითითებულია:

აქვე აღვნიშნავთ, რომ მთარგმნელობითი საქმიანობის ორგანიზებისა და შესაბამისი მომსახურების კვალიფიციურად განვვისათვის შესაძლებლად მიგვაჩნია, სსიპ „საქართველოს ნოტარიუსთა პალატამ“ უზრუნველყოს თარჯიმანთა ერთიანი ბაზის შექმნა ენისა და კვალიფიკაციის მიხედვით, რაც გაუადვილებს მოქალაქეებს თარჯიმნის მოძიებას, მასთან დაკავშირებას და ეფექტურ კომუნიკაციას. აღვანიშნავთ, რომ მთარგმნელობითი მომსახურების შეთავაზება და სათანადო ბაზების მართვა არაერთ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს (სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე) აქვს დანერგილი და სსიპ „საქართველოს ნოტარიუსთა პალატასაც“ საკმარისი რესურსი აქვს შესაბამისი ბაზის – თარჯიმანთა ერთიანი რეესტრის – შექმნისა და მართვისათვის. ამასთან, შესაძლებელია აღნიშნული ბაზის ნოტარიუსთა პალატის ვებგვერდზე განთავსება.

**ბ.ბ.) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება გააუმჯობესებს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილს. დაიბეგრება თარჯიმანი და თარგმანთა ერთიან რეესტრში შემოსული ყველა თარგმანი. ბიუჯეტში შევა თანხა ყველა დამოწმებული თარგმანიდან. სასურველია ყველა ნაფიცი და სერტიფიცირებული თარჯიმანი იყოს ინდემწარმე და თავად გადაიხადოს თავისი საშემოსავლო გადასახადი. არაინდემწარმე და დანარჩენი თარჯიმნების საშემოსავლოს გადაიხდის საქართველოს თარჯიმანთა საერთაშორისო ასოციაცია (სთასა) ან ის მთარგმნელობითი ცენტრი, სადაც ისინი იმუშავებენ.

ჩვენი ასოციაცია წელიწადზე მეტია მუშაობს ამ პრინციპით. საქართველოს თარჯიმანთა საერთაშორისო ასოციაციაში შემოსული და თარგმნილი ყველა დოკუმენტიდან 20%-ს ვიხდით ხაზინაში, მიუხედავად იმისა არის ის ნოტარიულად დამოწმებული თუ არა.

**ბ.გ.) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

**ბ.დ.) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:**

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

**ბ.ე.) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:**

კანონპროექტის ამუშავება პირველ რიგში გააუმჯობესებს თავად თარჯიმნების ფინანსურ მდგომარეობას. საქართველოს თარჯიმანთა საერთაშორისო ასოციაციის საერთო კრებაზე თავად თარჯიმნების მიერ დადგენილი იქნება ყველა სახის საბუთის ფასი საშემოსავლოს (20%) და ასოციაციის პროცენტის (10%) გათვალისწინებით. თარჯიმანს ზუსტად ეცოდინება რამდენი ერგება ამა თუ იმ საბუთის თარგმნიდან. და ეს იქნება მისი გაწეული შრომის ღირსეული ანაზღაურება და არა ის გროშები, რასაც

დღესდღეობით დამადლებულად უგდებენ. ნაფიცი თარჯიმანი დამატებით თანხას აიღებს თავისივე ნათარგმნის დამოწმებაში.

ბ.ვ.) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის პრინციპები:

ნებისმიერი გადასახადის ოდენობის დადგენას და დაწესებას განსაზღვრავს საქართველოს თარჯიმანთა საერთაშორისო ასოციაციის საერთო კრება.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა.) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ.) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ.) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს:

დ) კანონპროექტის მიმართება პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა.) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ.) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს თარჯიმანთა საერთაშორისო ასოციაცია ("სთასა").

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს თარჯიმანთა საერთაშორისო ასოციაცია ("სთასა").